31.10.2023წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

I. წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N 116 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფით და საკუთრი შემოსავლების ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებით:

II. ზუსტდება შემოსულობები და ხდება 35 671 553 ლარი:

1. ზუსტდება გრანტები და ხდება 14 091 647 ლარი.
2. ზუსტდება სხვა შემოსავლები და ხდება 1 944 400 ლარი.
3. ზუსტდება შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან და ხდება 737 106 ლარი.

III. მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილება განისაზღვრება - 5 833 217 ლარის ოდენობით.

IV. იზრდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 3 808 761 ლარით და ხდება 41 504 770 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვრება 18 972 149 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვრება 2 622 605 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 4 863 877 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღრება 2 136 972 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვრება 6 861 000 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების/ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

V. შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

VI. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2023 წლის ნოემბრის თვის პირველი დეკადა.

VII. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი: /გიორგი მანგოშვილი/

დანართი

N	ნორმატიული აქტი	დასახელება	მთლიანი ღირებულება	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილებრივი ბიუჯეტი
1	N116	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	5 460 000	5 460 000	
2		UNDP -ის გრანტი	47261		47261
3		გარე განათების ხარჯი	170 000		170 000
4		სადღესასწაულო ღონისძიები	180 000		180 000
		საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	40 000		40 000
		სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	328 000		328 000
		ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	43 500		43 500